

სასახლში ზაფხუში

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 176.

კვირა, 5 დეკემბერი 1910 წ.

დამატების № 30



დავითწმინდა ჰანგი. -- სურათი ზეიფერტისა.



ალმასი. -- სურათი ჰანგი პეროლისა.

მგოსნის აღსარება

ისე არ ვიზღერ, ვით უწინ მღერდენ
წინამორბედნი ჩემს დიდების;
მოვსულვარ ქვეყნად მზის სამეფოდან,
ლაღად ვყოფილხარ ჯამთ უკვდავების!
მე ყველგან ვსუფევ: აქა თუ იქა,
შორსა თუ ახლოს, დროს ვეურჩები;
ზამთრის სუსხისა მზურავს საბური...
ენების ყვავილში თვით ვიფურჩქნები.

ვთესავ სიყვარულს ქალწულის სულში,
ცეცხლსაც მე ვანთებ სიძულვილისას;
მე ვარ ბოროტი, მე ვარ კეთილი,
მევე ვკლავ ნდომას დიდს წყურვილისას.
აღძრავ ქარიშხალს, მოვბერ ნელ სიოს,
მეხსა დავატებ... ჩანგს ვაუღერ ტბაღალდ;
სალამოს ლოცვას ვქმნი და ვლაღადებ,
ქამსა ტანჯვისას და ძილის პირად.

სასტიკის მგოსნის სახეს ვატარებ,
ღმერთი ვარ მკაცრი, შურის ძიების;
ვარ სინაზისა სრული ხატება,
აღმადგენილი ცის სათნოების!

სისხლით ვწერ გლოვას, სისხლით ვწერ სიტკმოს,
ვარ ნათლის სვეტი და შემომქმედი;
ერთგან თუ ვანგრევ, იქვე ვაშენებ,
გვირგვინსა მითხზავს ჩემივე ბედი.

შევიქმ ყველაფერს... საზღვარს გავცილდი...
ვარ ცვალებადი და ვარ უცვლელი;
ჯოჯობითა ჩემი სამეფო
და სამოთხე კი სასუფეველი!

წყარო იგემეთ უკვდავებისა:
ის ჩემის სულით გამომდინარებს:
იქვე გადმოსჩქეფს გესლის სათავე,
ტალღა შხამისა ნელად მდინარებს.

ძველს არ ვეკუთვნი, ფესვს კი იქ ვიდგამ,
ძველზე ვაშენებ ჩემ კოშკის კედელს;
დავუკავშირე აწმყოს წარსული, —
მისი დიდება თვალს მოსპობს მკვრეტელს.

ვინ შეედაროს ჩემს ჰანგის ძალას,
ხან მინაზებულს, ხან აღტყინებულს?
ყველას სულში ვარ, გუნდრუკს მიკმევენ,
ჩვეულსა მგოსანს დაგვირგვინებულს!..

ა. შანშიაშვილი.

✕ ჩემს მუზას

მუზავ, ნეტავ რა იქნენ? მოჰკვდი თუ ცოცხალი ხარ?
 რად არ მადღევ ნუგეშსა—თუ კი მეგობარი ხარ.—
 მომძულე, წამართვი—აზრი, გრძობა გონება—
 აღარ გინდა, მიმუხთლე, აწ ჩემი მოგონება.
 მე ჩემი დრო გავლიე, ნაღვილ-შხამი დავლიე,
 აღარც შენ მეხმარები—მით მტერსაც ველარ ვძლიე...
 თორემ კალმის წვერითა, ამოვთხრიდი თვალებსა—
 გულსა მოვიოხრებდი, ვიხმარდი ჩემს ძალებსა;
 ოცნებით გატაცებულს სატრფოს ვემონებოდი,
 წრფელის გრძობით აღვსილი, მას ვეთაყვანებოდი.
 წამს შემეძლო, მომეგლო ფიქრით—მთელი ქვეყანა —
 ცათამდინ აღფრთოვნებულს წინ მიძლოდი ყველგანა!
 მზის სხივებში ვხატავდი, ტურფა სამშობლოს მხარეს—
 ნათელ ფენილ მთვარეში სატრფოს, მიჯნურს, საყვარელს
 ამას ყველას მომაკელ, დამგმე და შემაჩვენე —
 უძლურ მყოფი დამტრევე, საფლავი მომაჩვენე.

ნინო ორბელიანი.

მ ლ ე ბ ი ა

მზემ დამავალმა სუსტი სხივი, უკანასკნელი,
 კრთოლვით მიჰფინა სპეტაკ მწვერვალს, თოვლით დაფენილს
 და ჩავსვენა მთის გადაღმა ქანც მიღეული;
 ნიავი მისწყდა... ტყე უფოთლო მიეცა დუმილს.

ნისლი მოერტყა მწუხრის რიდელ ბალსა გაძარცულს,
 კლდისა ჩანჩქერმა სევდიანად ჩასტირა უფსკრულს,
 და დაეკურა მკერდზე ცრემლად იმედის ყვავილს,—
 უღროოდ დამქნარს ჯერ გაუშლელს, კავშით აღვსილს.

მთის ქარტახილმა დაიქროლა, გაასისინა,
 გადააყარა მწუხრ მიდამოს ფიფქი თოვლისა;
 და ისე მწარედ, გულსაკლავად ამოიგმინა,
 თითქოს თან ჰქონდა შექსოვილი კვნესა სოფლისა...

ჰოი მიდამოვ, დაღვრემილო, ფიქრთა ამშლელო!
 მეც ობლად დავალ ნაღვლიანი შენებრ მქმუნვარა
 მეც შენებრ მბურავს შაფფიქრთ ნისლი გულის მხარავი
 ჩემს დაკოდილ გულს შენებრ დაჰქრის შავ ფიქრთა ქარი...!

მე თვით არ ვიცი, ვინ წარმტაცა სულის სიმშვიდე,
 ჩამიკლა რწმენა და დამიხშო იმედის კარი;
 ბედკრულს, დაგმობილს, სასიცოცხლო იმედის ფიალს
 შხამ-გესლით მივსებს გულის სატრფო და მეგობარი!..

ჰოი მიდამოვ, შენებრ მსუსხავს მეც ცივი ფიქრი,
 სევდის გრივლი შორსა მტაცებს, ნახსა სიხარულს;
 მაგრამ მოვა დრო, გახაფხული შენ გაგაცოცხლებს,
 მე კი ვერავინ ვერ აღმიგზნებს გულს გაციებულს!..

ს. ფაშალიშვილი.

სატრფოვ მუობელო...

ნეტ, მარად ვფიქრობ ძილ გაკრთობილი,
 სატრფოვ-მშობელო, შენს მწარე ბედზედ;
 და ტანჯვის ცეცხლში გამოწრთობილი
 ცრემლები მცვივა მღელვარე მკერდზედ!

ფიქრით ფიქრსა ვკლავ... გრძობითა გრძობას,
 გლახ-გულში ვიზრდი შენსა სიყვარულს;
 იგი შეადგენს სიცოცხლის ტკობას
 შენს ლანდს რომ ვუთხრობ ჩემს სულსა და გულს...

კიკნა — ფშაველი.

ქ ლ ე უ ლ ი

(ბალმონტის ჰანგზე)

ოდესღაც გმირი, უშიშარი ვინმე მხედარი,
 ვინმე მხედარი, გულ-მეღვარი, სულთ ძლიერი;
 ვნახე მქმუნვარე, არწივივით კლდეს გადმომდგარი,
 კლდეს გადმომდგარი ახოვანი, პარ-მშვენიერი.

* * *

იგი გასცქერდა იმ ბრძოლის ველს, სადაც დაეცა,
 სადაც დაეცა დაკოდილი მისი მერანი...
 იყო სიჩუმე... მღუმარებდა პირქუში ზეცა,
 პირქუში ზეცა, წარბ შეკრული, ყრუ და ვერანი.

* * *

მხოლოდ გრივალი, ვით მოზარე, სტვენით მომოჰქრის,
 სტვენით მიმოჰქრის და ქაბუკაც თავს დაჰქვითინებს;
 მერანს დაღუბულს შავ-ფრთოსანნი, ყორნები მინდვრის,
 ყორნები მინდვრის დაჰსევიან... აღარ ქიხინებს.

* * *

ოდესღაც გმირი, უშიშარი ვინმე მხედარი,
 ვინმე მხედარი ვნახე ობლად კლდეს გადმომდგარი;
 მის ნათელ სახეს მწუხრის ბინდი ეფინებოდა,
 ეფინებოდა... სიცოცხლის მზეც ესვენებოდა.

ბილილი.

რად მიყვარხარ

როს არ ჰნათობ ჩემთვის, მზეო,
 პირს მარიდებ, შორს მიმქრალხარ,
 როს სევდას მგვრი, სიცოცხლეო,—
 რად მიყვარხარ, რად მიყვარხარ?

* * *

როს სულს მპარავ გრძობის მთვარევ,
 უნუგეშო ფიქრთა ზღვა ხარ;
 ჩემო კუბოვ და სამარევ,—
 რად მიყვარხარ, რად მიყვარხარ?

* * *

✓ როს სურნელს არ მაწვდი, ვარდო,
 სხვისთვის ჰყვავი, ჩემთვის მქნარხარ,
 ვნებულ გულის კერპო... დარდო,
 რად მიყვარხარ, რად მიყვარხარ?

* * *

როს ღვთაებავ, მალრჩობ ცრემლში,
 ციხე გზღუდავს, პატიმრად ხარ,
 რისთვის ჩაგცქერ მკრთალ თვალებში,—
 რად მიყვარხარ, რად მიყვარხარ?

ბ. ჩხიკვაძე.

* * *

მკერდში გული ვერ გიპოვნე,
 მე ვერ გიცან.—ვინ ხარ, ვინა?
 ჩამომშორდი, გამეცალე!
 დაუტოვე ჩემი ბრნა!

გამეცალე, ლოცვად ვდგები!
 ცა იელვებს, ღმერთი მოვა...
 შთაინთქება ნეტარ წუთში
 ჩემი სულის ურვა-გლოვა.

ბაბილინა.

საბი უფუტთაბისა

მცირე ტვირთი სურვილისა
მიწის შვილმა ვერა ჰზიდა.
რა ფეხს შევდგამთ ცის სამაჯროს,
ძირსა ვცვივით განვლილ გზითა.
აღმაფრენა ნიავდება
დამსხვრეულის იმედებით
და, აჩრდილად გარდაქმნილნი,
სადაც ვიშვით, იქვე ვკვდებით.
სულო, მარტვი ბედის მძებნელს,
მეც სუსტი ვარ? ხსნა არ არი?
არც მე ძალმიძს გადავქელო
ამ ცხოვრების ბრმა საზღვარი?

რ. ბებიაშვილი.



გული ბნდებოდა... სული, ეული
ვედრებოდა ზღვასა მღელვარსა:
ზღვაო, ზვიადო! მისმინე აჯა,—
მსურს ვიმეგობრო შენი ტალღები;
ეგებ იქ მაინც ვიპოვო შეგება,—
ბრძოლამ განდევნოს მწარე დარღები!
ზღვას ნისლეები ჩამოაწვა, ველარ ვპოვე მისი პირი;
სჩანს გაუწყრა, არ მიიღო, სული მწარედ ანატირი!..

გული ბნდებოდა... სული, ეული,
ვედრებოდა ქალსა ლამაზსა:
შეგეთვისევი, თავზედ გველები,
წინ მებატები ყოველთვის, მარად.
უარს თუ მეტყვი, ტურფავ, გარწმუნებ,
ჩემი სიცოცხლე იქცევა არად!
ტურფამ შუბლი შეიკეცა, მომარიდა ნაზი პირი
სამუდამოდ ჩამიფერფლა სული მწარედ ანატირი!..

ვიღას მივმართო?... სად წავიდე?.. სად მოვისვენო?...
ყოველი არსი მალევეინებს სამსალას მწარეს!..
იქნებ საფლავმა მიმეგობროს, კარად გადმექცეს,
რომ განვლო ზღურბლი და ვეწვიო იქითა მხარეს?..

ჩამობნელდა, დაწყვიდიდა, ცამ იქეჯა, დაიგრგვინა,
და შავს ფრთების შრიალითა კაეშანი მომველინა!
— აღამის ძევი!.. შენთანა ვარ, შენთანა მსურს მეგობ-
რობა,—
ყოველივეს, რაც გარტყია, შეუთვალე წყევლა, გმობა!
შავი ფრთები დამაფარა, გულს შთამიკრა მშობლიუ-
რად...

იმის შემდეგ ერთადა ვართ, გმუსაიფობთ მეგობრულად!..

დ. ელიოზიშვილი.



კოლხიჯის ელემენტები

ბედის - წერა

I.

„სად მიგვაფრენს ეს გრძნეული? ძმაო, მე თვალთ მიბ-
ნელდება“...

— ნუ თუ სწუხარ, ძვირფასო დავ, დედამიწა რომ გვწო-
რდება?—

მოკომციმე ვარსკვლავთაგან ჰაერის გზა გვინათდება,
ლურჯ-ნაკვთებელ ვაფანტული ღრუბელ გუნდი წინ გვიძ-
ღვება...

„ფრიქსო, ძმაო, დედა-ღმერთმა თვისთან რად არ წა-
გვიყვანა?—

განუსაზღვრელ სივრცეს მიგვცა—არც ცაა და არც ქვეყანა!
ღმერთს არ უნდა, ხორციელი მთლად მოსცილდეს მიწას,
განა?

ოჰ, დავბრუნდეთ სამშობლოში, თუნდაც მოგვკვდეთ მამას-
თანა!“

— გვიან-ლანა, ჩემო ჰელლა,—ვინც-კი ერთხელ წინ გაფ-
რინდა,

უკანა გზა დახშული აქვს, შეჩერება ჩვენც არ გვინდა.
ჰხედავ, მთვარე სალამს გვაძლევს ჩვენ გუშაგად გამობრწყ-
ინდა,

ძირს ლაქვარდად გაშლილმა ზღვამ ზედაპირი გაღიწმინდა!
მართლაც ზღვიდან ამოცურდა პოსეიდონ მოხიბლული,
და სამკბილა კვერთხი დაჰკრა, აღელვებით მოქნეული.

მეც შეგიყვარებ, შეგიყვარებ!

ისე გენდობი, ვით ბნელ კუბოს, ვით მხამიან გველს,
გადამხმარ ტყე-ველს გამოვექეცე, მოვსწყდი ამ არეს;
ისე მიყვარხარ მე უჩინარს, მე საფლავთა მცველს,
რომ თვით სიზმარშიც... თვით სიზმარშიც გითხრი სამარეს.

თუ გაზაფხული ჩემს გაზაფხულს მორთავს, მოჰქარგავს,
მაშინ დაჰქარგავს გულა ჩემი ქალს, მხოლოდ ზე ქალს,
მაგრამ ეს გრძნობა, ეს ოცნება შენსას სულ არ ჰგავს
შენ ვერ გაიგებ ჩემს სიმღერას, ჩემს გულის ფანჯრალს.

ქვა ვარ, ქვა იყავ, ჩემო სევდავ, კვლავ ქვად დავრჩებით,
უცნაურ ხმებით გაჯილდოვებ, ზვარაკსა გწირავ;—
მეც შეგიყვარებ... შეგიყვარებ ღრმად, გიჟურ გრძნებით
მეც შეგიყვარებ—თუ შენს მგოსანს შუბლს გაუგმირავ.

ი. გრიშაშვილი.



კ ა ე შ ა ნ ი

გული ბნდებოდა... სული ეული,
ვედრებოდა მთვარეს ელვარეს:
ღამის გუშავო! უარს ნუ მეტყვი,—
გადმომაფრქვიე ტურფა ნათელი.
ჩავეკონები, არ მოვცილდები,
ზედ დავადნები, ვითა სანთელი!..
მთვარე ღრუბლებს მოეფარა, მომარიდა ბადრმა პირი,—
ჩაიფერფლა, ჩაიჩქამა სული მწარედ ანატირი!..

გული ბნდებოდა... სული, ეული
ვედრებოდა მთასა ზვიადსა:
მთაო, მაღალო! შენთან მოვედი,
მსურს ავყვე ბილიკს, ავიდე ზევით,
იქ შევუერთდე ეფირსა მსუბუქს,
გადავუარო ქვეყანას მღერით!
მთამ ბურუსი შემოირტყა, მომარიდა მგონი პირი,—
ჩაიფერფლა, ჩაიჩქამა სული მწარედ ანატირი!..

აბობოქრდა ზღვა, ჰაერი, ღმერთის ვნებით აგზნებული,
და ოქროს ვერძს მოწყვეტილი ჩამოვარდა ძირს ქალწული...

II.

ვაჰ, უწყალო ზღვის მპყრობელო! მეც მესროლე ქარი-
შხალი,

რომ ჩავინთქე დასთან ერთად, არ ვიხილო მზის ცილი.
ვაგლახ, დაო! ბოროტ ინოს აღუსრულდა ნანატრალი.
მარად ობლად დარჩენილი ვით გავფრინდე ძმა საწყალი?

ჰელლას კუბოვ, ჰელლესპონტო, ჩემს სისხლ-ხორცსა შერ
გაბარებ!

ვინძლო შენის შიკრიკ ტალღით ღმერთს ნეფელას დაუბარებ.
მე-კი გავსწევ წინ უტოლოდ, მწარე ბედს არ გავახარებ,
და სამღვთო განძს, ოქროს ფრთოვანს, უცხო მხარეს ჩავაბარებ.

უცხო მხარევი ჩემ სამშობლოდ უნდა გახდეს აწ კოლხიდა,
სადაც ზევსმა ჩვენი გმირი კლდეს მისკედა და დაჰკიდა,
მაგრამ მის სულს, ნათლის მფრქვეველს ტანჯვითაც ვერ
ამოჰხდიდა;

მხოლოდ მისი მოძახილი შორს, ჩვენ გულსაც ძრწოლას
ჰგვრიდა.

ვაგლახ! ოქროს ვერძთან ერთად მე გამყვება ჩვენის გვარის
ბედიც, ჰელლა დაიღუპა და აწ ჯერი ვისი არის?

ვაგლახ! შენცა, ტურფა მხარევი, ეს საუნჯე ნუ გიხარის,—
მისთვის მალე შეიქმნები მსხვერპლი ელლინ გმირთა ჯარის!..

კაბუჯის ხმამ ჰელლესპონტის ტალღას გული აუძგერა;
მსწრაფლ წაიღო ლაღად მჩქეფმა, მარმარილოს გადუმდერა;
გადაუარა ლაფვარდ ბოსფორს და პონტ-ევქსინს აღუწერა
ელლაღისა და კოლხიდის უღმობელი ბედის წერა...

მ. გ—ია.

შეაოღოვის ველოდია

ჰეი, სადა ხარ ანგელოსო, საით გაჰფრინდი?

განა აკვანში იღუმალ ხმით იმას დამპირდი,
რომ ჟამს გამობისას, ჟამს ჩემს დღეთა შეჩვენებისას,
მუნ მომაკლებდი შენსა რჩევას, ხმას ნუგეშისას?
მარქვი, ყავარჯნად რაღა მექნეს, უმწეოდ შთენილს?
ხელს ვინდა მომცემს ბედის მიერ უღვთოდ გაქელილს?
ვინ დამიბრუნებს ჩემსა სიონს ლტოლვილებისას?
ვინ გადამიყრის შუბლზე ღრუბელს მქმუნვარებისას?

ეჰა, მთრთოლავო სულის აჩრდილით
კვლავ შენ მოგკივი გამწარებითა,
და გულს, შემოსილს შავის მანდილით,
ვიხოკ უშრეტელ კრემლთა დენითა!
ვიძებ შენს კვალსა, უჩინრად ყოფილს,
მთასა თუ ბარში მოგკივი მთელს ხმით,
მაგრამ ნუგეშსა ტაალად შთომილს

ვქვრეტ მხოლოდ ჩემებრ მგოდებს თაღნებით.
ჰეი, მგოსანო, ფრინველთა მეფე, შენ ჩემს გულის ბაღს
უგალობებდი ყოველ დილით ციურ ხმათა ჰანგს,
დღეს კი შენს დებსა: ია ვარდს, თუ იასამანსა
არღა ნახულობ, არღა, აძლევ დილის საღამსა.
მარქვი, მოგწყინდა ამ კეკლუცთა ტკბილი გართობა?
მაშ, ვით ელირსევს ზენაარსი ზმანებით თრობა?
ახ, ვარდი დაჰხარის ნაღვლით თავსა, უდროდ დასკვნება,
ახ, მის სიცოცხლის მხოლოდ ხსოვნა თუ ლა დარჩება!

ეჰა, დაობლდა ზურმუხტი ბალი,
გულის მტყვევნი არ ჰყეფს ბულბული,
ზამბახს კინწი სწყდა, დაჰხარა თავი,
კაეშნით იქმნა შეყვითლებული.
ობლად შთენილნი ასე ტიალად,
ცას შეჰყურებენ ყვედრების თვალით,
ნექტარი ექცათ შხამის ფიალად,

და საფლავა მივლენ მოსილნი თაღნით!
ახ, ვგონებ იყო ის დღეს დილით, თითქოს წუთის წინ,
ვხედავდი ყოველს მოლაღანეს ამ კენობისა წილ,
ეხლაკი დაშრა ნაკადული სიცოცხლის მცემი,
ახ, რა აღრიან დაიქუხა გრიგალმა ჩემს თავს!
ახ, ჩემს ბაღნარსა მურღალ ხელით რა ადრე ჰგოხავს?
ეჰა, იხრწნება თვით სამოთხე ჩემი სულისა,
დგება ზამთარი, მზე ჩამიქრა გაზაფხულისა!

დ. კასრაძე.



კობე მისხი. (ნაპოლეონის ჰანგზე) ბატონებო! იუბილემ იქმნებ შიმ-
შილს გადამარჩინოს.



დღეს კიდაობა—ხვალე ქორწილი!
ხან მუტში კრივი და ხან სიცილი!



მეძანდაკი ნიკოლაკი. (დიოგენის ფარნით ეძებს ილიას ძველს) მახ-
სოვს გავაკეთე და სად დამეკარგა?